

„სინთაზი“ და „ფიუჟენი“  
როგორც კულტურათა შორის ურთიერთობის ორი გზა

დღევანდელი მოხსენება ეძღვნება ტრადიციული და თანამედროვე მუსიკის ურთიერთგავლენის პროცესებს, თუმცა უფრო ფართოდ, ის, აგრეთვე, მოიცავს სხვადასხვა მუსიკალური სტილისა და კულტურათა ურთიერთშეღწევის პროცესსაც. კულტურათა შერწყმა არის უნივერსალური პროცესი რომელიც მიმდინარეობს გამუდმებით და ყველგან.

მოხსენების მთავარი ჰიპოთეზა არის მუსიკალურ კულტურებს შორის ურთიერთობის ორი განსხვავებული ტიპის შემთავაზება: ფიუჟენი და სინთეზი/შერწყმა. ფიუჟენი ზოგჯერ განმარტებულია, როგორც მუსიკოსებისათვის ახალი სცენა, ახალი რეკორდ-იარლიყებისა და ახალი ლონისძიებების შექმნა, სადაც მუსიკოსები ხვდებიან და აზრთა ურთიერთგაცვლას აწარმოებენ<sup>1</sup>.

თავდაპირველად ტერმინი „ფიუჟენი“ აღწერდა ჯაზის იმპროვიზაციებისა და რთული როკის თანამშრომლობას. თანდათანობით დაიწყო ეთნო ელემენტების შეჭრაც ჯაზში. ამის პიონერად თვლიან ცნობილ საქსაფონისტს ჯონ კოლტრენს (აუდიომაგ. 1).

აქ ვხედავთ უმაღლესი დონის მუზიციერების დონეს და მუსიკალური თემატიკის გააზრების სიღრმეს, რომელშიც ინდური კლასიკური მუსიკა და ჯაზი ურთიერთშერწყმის მთავარ კომპონენტებს წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, მაინც აშკარაა რომ ორივე მუსიკალური სტილი ინარჩუნებს თავის ავტონომიას.

1990-იანი წლებიდან გლობალიზაციის პირობებში ეთნიკური მუსიკის კომერციული წარმატების შედეგად ეთნოჯაზმა დამოუკიდებელი მნიშვნელობა შეიძინა. აქცენტი გადატანილი იქნა არა-დასავლური, ეთნიკური/ტრადიციული მუსიკის დასავლურ ინტერპრეტაციაზე<sup>2</sup>.

შედარებით ახალი ქართული ეთნო-ჯაზის მაგალითია ანსამბლი „შინ“. პატივი მქონდა მათ შევხვედროდი 2008 წელს შტუდგარტში, ჩემს კვლევასთან დაკავშირებით.

მუსიკალური ნომერი, რომელსაც ეხლა მოისმენთ არის „ბატონი ყანსავ ყიფიანეს ვალსი“, ქართული ხალხური სიმღერის ერთ-ერთი ყველაზე ოსტატური და გემოვნებიანი გააზრება ჯაზის კონტექსტში. ანსამბლი „შინ“ ყენებს „ყანსავ ყიფიანეს“ მელოდიურ-ჰარმონიულ ფორმულას, მაგრამ, აგრეთვე, ამატებს ქართული მუსიკის სხვადასხვა დიალექტურ და მუსიკალურ პრინციპსაც. სიმღერის სტილი სკატ-ჯაზთან და, იმავდროულად, დასავლურ ქართულ ე.წ. წვრილით სიმღერასთან არის დაკავშირებული. იმპროვიზაციაც ამ შემთხვევაში ახლოვებს ჯაზს და ქართულ ფოლკლორს ერთმანეთთან. მიუხედავად ამისა, ორივე მედიუმი, ჯაზიც და ქართული ფოლკლორიც, ინარჩუნებს თავის დამოუკიდებელ არსებობას და მათი შერწყმა არ ქმნის არსებითად ახალ სტილს რომელშიც ორი კულტურის ნიშნები შეუცნობადი იქნებოდა (აუდიომაგ. 2, 3).

<sup>1</sup> „ფიუჟენის“ განსაზღვრება: <https://www.bbc.co.uk/bitesize/topics/z3dqhyc/articles/zr4fscw>.

<sup>2</sup> [https://www.wikiwand.com/en/Ethno\\_jazz](https://www.wikiwand.com/en/Ethno_jazz).

### სინთეზი

მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტებში კულტურების შეხვედრამ, შესაძლოა, უფრო ღრმა შერწყმის სახე მიიღოს, რასაც ვუნოდებ „სინთეზს.“ ეს რომ მოხდეს, მუსიკალური ოსტატობა და მუსიკოსთა ექსპერიმენტული ძიება, თუნდაც პოლიტიკური მოვლენების ფონზე, არ არის საკმარისი. აუცილებელია მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული ფონი და ეს ფონი, სამწუხაროდ, ხშირად არის დამპყრობელი ომები, ხალხთა შევიწროვება და ასიმილაცია, მოსახლეობის მნიშვნელოვანი მასების გადაადგილება, მონობა, გაჭირვება და ა.შ. ასეთი პროცესის და მის შუაგულ წარმოქმნილი მუსიკალურ-კულტურული სინთეზის მაგალითი, ჩემი აზრით, არის ჯაზის ადრეული ფორმები ამერიკაში (აუდიომავ. 4).

ღია, არამდგრადი ვოკალიზაცია, დაცურება, მეღიზმები, შეჩერებები და ფართო ინტერვალები, ბლუზის კილო, აფრიკული წარმოშობისაა, თუმცა ფუნქციური ჰარმონიულობის ჩასახვა ევროპული სათავეებისკენ მიგვიტოვებს. მიუხედავად ამ სხვადასხვა ელემენტებისა, შეუძლებელია საუბარი აფრიკული ან ევროპული წარმოშობის სპეციფიკურ სიმღერაზე, მელოდიაზე, ან აკორდულ თანმიმდევრობაზე.

სინთეზის კიდევ ერთი საინტერესო ნიმუშია კახური სუფრული სიმღერების სტილი, რომლის წარმოშობის საკითხებსაც მე ვუძღვენი სპეციალური სტატია (აუდიომავ. 5)<sup>3</sup>.

ეს არის სინთეზი და არა ფიუჟენი სწორედ იმიტომ, რომ შეუიარაღებელი თვალთ და დარგთაშორისი ანალიზის გარეშე შეუძლებელია აქ დავინახოთ კულტურების შერწყმა. ჩემს მითითებულ სტატიაში, არქეოლოგიურ-ისტორიული მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე გამოვთქვი მოსაზრება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერის ეს სტილი უნდა იყოს აღმოსავლური (აზიური) და ავტოქტონური (კავკასიური) კულტურების შერწყმის შედეგი, რომელიც მოჰყვა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ინდოევროპული ტომების შემოსვლას 5-6 ათასი წლის წინ. ამ პროცესის დეტალებზე აქ აღარ შევჩერდები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ სინთეზი სუფრულ სიმღერებში იმდენად ორგანულია და სხვა კულტურების ნიშნები იმდენად ძირეულადაა სახეშეცვლილი, რომ მათი შემჩნევა შეუძლებელია.

შეჯამების სახით აღვნიშნავ, რომ ფიუჟენი არის ტრადიციისა და თანამედროვეობის კომბინაცია გამორჩეული, ამბიციური ინდივიდუალური პროფესიონალი მუსიკოსების ინიციატივით. თუმცა სხვადასხვა სტილი ჯერჯერობით არ იძლევა ღრმა სინთეზს და არ ყალიბდება, არსებითად, ახალ სტილად, რომლის შემადგენელი ინგრედიენტებიც შეუმჩნეველი გახდებოდა. ჩვენ ადვილად გამოვარჩევთ ინდურ, ქართულ, და თანამედროვე დასავლური მუსიკის კომპონენტებს. ასეთ შერწყმას თავისი უპირატესობა აქვს: ტრადიცია შენარჩუნებულია და მას არ ემუქრება ძირეული გარდასახვა. ეს, აგრეთვე, მიუთითებს ტრადიციის სიძლიერეზეც. მეორე მხრივ გვაქვს „სინთეზი“, რომელიც რთულ ისტორიულ და წინა-ისტორიულ პროცესებშია ჩამარხული, და მისი სათავეები უფრო ვრცელია. მის შექმნაში მოსახლეობის უფრო ფართო ფენები და ფართო ისტორიული პროცესებია ჩართული. სინთეზის პროცესში მონაწილე სტილები ისე ერწყმიან ერთმანეთს, რომ შედეგად ვიღებთ არსებითად ახალ, გავლენიან და დამოუკიდებელ სტილს.

<sup>3</sup> Tsitsishvili, Nino (2010). "A Historical Examination of the Links Between Georgian Polyphony and Central Asian-Transcaucasian Monophony." In *Echoes from Georgia: Seventeen Arguments on Georgian Polyphony*, eds. Tsurtsunia, Rusudan and Joseph Jordania. Nova Science Publishers, pp. 195-214.

**აუდიომაგალითები**

1. „მე რაც მიყვარს“ კინოფილმიდან „მუსიკის ჰანგები“. [https://www.youtube.com/watch?v=8d-9cD\\_Es9k4&ab\\_channel=HassanKhan](https://www.youtube.com/watch?v=8d-9cD_Es9k4&ab_channel=HassanKhan)
2. „ყანსავ ყიფიანე“ ტრადიციული. [http://www.alazani.ge/base/georgika/Georgika\\_-\\_Yansav\\_Yipiane.mp3](http://www.alazani.ge/base/georgika/Georgika_-_Yansav_Yipiane.mp3)
3. ანსამბლი „შინ“. „ბატონი ყანსავ ყიფიანეს ვალსი.“ [https://www.youtube.com/watch?v=C1BLY-hccpbs&ab\\_channel=TheShin](https://www.youtube.com/watch?v=C1BLY-hccpbs&ab_channel=TheShin)
4. “O more my lord/მეტი არა, ღმერთო”, რელიგიური ჰიმნი, ციხის ბლუზი, შრომის სიმღერა, ალან ლომაქსის ჩანაწერი. <https://www.youtube.com/watch?v=GQ7j4K45Dl8>
5. კახური ბურღონული სიმღერა „ბერიკაცი ვარ“. [https://music.youtube.com/watch?v=XNN-a7Q3F63Q&list=RDAMVMXNNa7\\_Q3F63Q](https://music.youtube.com/watch?v=XNN-a7Q3F63Q&list=RDAMVMXNNa7_Q3F63Q)